ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2202125

ნომერი: AR1341095

თარიღი : 11.09.2015

გაცემის თარიღი : 29.09.2015

გაცნობის თარიღი : 29.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 15 ივლისის #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 11 სექტემბერს #AR1341095 განცხადებით მომართეს ვლადიმერ აბრამიშვილმა და ზურაბ ზატუაშვილმა. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 2013 წლის 15 ივლისის #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონის შეცვლასთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის

სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2013 წლის 15 ივლისს #01.14.16.015.206 (ფართობი – 3000 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრის განთავსების მიზნით დამტკიცებულ იქნა #773090 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციურ ზონად განისაზღვრა: სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). მოგვიანებით, სამსახურის 2015 წლის 27 მაისის #1896674 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2013 წლის 15 ივლისის #773090 გადაწყვეტილებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითა – 4406 კვ.მ., საკადასტრო კოდად დაფიქსირდა – #01.14.16.015.291, ხოლო, ფუნქციურ ზონებად: სპეციალურ ზონა 1 (სპეცზ–1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2).

დღეისათვის განმცხადებლები ითხოვენ სამსახურის 2013 წლის 15 ივლისის #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: სპეციალური ზონა 1–ს (სპეცზ–1) და სარეკრეაციო ზონა 2–ს (რზ–2) ნაცვლად სპეციალური ზონა 1–ს (სპეცზ–1) და სატრანსპორტო ზონა 1–ს (ტზ-1) დაფიქსირებას. ამ ეტაპზე, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სპეციალურ ზონა 1 (სპეცზ–1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონის ცვლილება უნდა აისახოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება 2013 წლის 15 ივლისის #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეცვლილი ზონის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 15 ივლისის #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს სპეციალურ ზონა 1 (სპეცზ–1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 15 ივლისის #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი შენიშვნა:
- ვინაიდან, საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება ვალდებულება – საგანი: 1406 კვ.მ., შეზღუდვა–დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე, შემდგომ ეტაპზე დაცული ან ამოღებული უნდა იქნას აღნიშნული ვალდებულება;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 15 ივლისის #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამატებითი დოკუმენტაცია ჩანაცვლდეს ახალი საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონების სქემატური ნახაზით (იხ. დანართი);
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 15 ივლისის #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.